ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. №15-ში მდებარე შენობის მხატვრულ-არქიტექტურული ანალიზი და რეკომენდაციები ჩასატარებელ სამუშაოებზე



ქ. თბილისი

2023

ჩვენი კვლევის ობიექტი, რუსთაველის გამზ. №15-ში განთავსებული შენობა, მდებარეობს ქალაქის ისტორიულ ნაწილში – ყოფილი გოლოვინის პროსპექტზე და მისი განვითარების ისტორიის ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენს.

გამზირის განვითარების ქრონოლოგია

ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ თბილისის 1735 წლის გეგმაზე დღევანდელი რუსთაველის გამზირის ადგილას ე.წ. დიღმის გზა გადიოდა, რომელიც ქალაქის გალავნის კარიბჭესთან იწყებოდა. ამ უბანს იმ ხანად "გარეთუბანი" ეწოდებოდა, რადგან ძველი ფეოდალური ქალაქის – კალას გალავნის გარეთ იყო მოქცეული. XIX საუკუნის დასაწყისში, გარეთუბანი თანდათანობით იწყებს ზრდას. XIX საუკუნის პირველი წლებიდან, 1802 წლის გეგმაზე პროსპექტის დასაწყისში (დღევანდელი შრომის სასახლის ადგილას) უკვე ჩნდება დიდი ზომის ადმინისტრაციული ნაგებობა – «Правителственные места». 1807 წელს იმავე ადგილას მთავარსარდლის ახალი სასახლის მშენებლობა იწყება. ამ დროს ქუჩას ოფიციალური სახელწოდება ჯერ კიდევ არა აქვს, მას "რუსეთისკენ მიმავალი გზა" ეწოდება, რომლის ინტენსიური განაშენიანებაც XIX საუკუნის ათიან წლებში იწყება. იმავე საუკუნის შუა ხანებში კი ჩნდება ფართო გამზირი გოლოვინის პროსპექტის სახელწოდებით, რომელიც უკვე იმდროისათვის ტფილისის ერთ-ერთ მთავარ არტერიას წარმოადგენს და გამზირის ღერძე განთავსებულ ერევნის მოედანთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქალაქის საერთო არქიტექტურულ-სტრუქტურული სახის შექმნაში. თბილისის სხვა, უფრო ძველი უბნებისაგან განსხვავებით, გოლოვინის პროსპექტი წინასწარ დაპროექტებული, რეგულარული გეგმარებით გამოირჩევა, არქიტექტურულ-სტილისტური თვალსაზრისით კი კალა-ისნის თბილისური სახლების ნაცვლად, გამზირის განაშენიანება იმდროინდელი მსოფლიო არქიტეტურის ძირითად მიდრეკილებებს მისდევს და ევროპული თუ რუსული ხუროთმოძღვრების ნიმუშებთან აშკარა მსგავსებას ავლენს. ტფილისის ტენდენცია – ევროპული ყაიდის ქალაქს ემსგვასოს – პროსპექტის განაშენიანების ფუნქციურ მხარესაც ეხება – ამიერიდან გამზირის უმეტესი ნაწილი უფრო მსხვილმასშტაბიან საზოგადოებრივ თუ ადმინისტრაციულ შენობებსა და საშემოსავლო სახლებს

უჭირავს. XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში კი გოლოვინის პროსპექტი ერთგვარი საზოგადოებრივ-კულტურული ცენტრის როლსაც იღებს საკუთარ თავზე. პროსპექტის პომპეზურ და სადღესასწაულო იერს, დიდი რაოდენობით თავმოყრილი ღირებული ნაგებობები განაპირობებს, რომლის იერსახეზეც იმ დროისთვის ცნობილი არქიტექტორები ზრუნავდნენ (მეფისნაცვლის სასახლე – არქ. ო. სიმონსონი; ალექსანდრეს, ამჟამინდელი 9 აპრილის სახ. ბაღი –არქ. ო. სიმონსონი; I კლასიკური გიმნაზიის რეკონსტრუქცია 1870-71წწ არქ. ო. სიმონსონი; „დიდების ტაძარი“ – არქ. ა. ზალცმანი; ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი – არქ. ვ. შრეტერი; ალექსანდრე ნეველის სამხედრო ტაძარი (ამჟამად მინ ნაცვლად პარლამენტის შენობაა განთავსებული) –არქ. დ. გრიმი და რ. გედიკე; შ. რუსთაველის სახ. აკადემიური თეატრი – არქ. ა. შიმკევიჩი; და სხვ.)



ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, სახელმწიფოს განვითარების თვასლაზრისით საბჭოთა ხელისუფლებამ ახალი მოთხოვნები დაამყარა. სოციალისტური იდეოლოგიის პროპაგანდისთვის, მნიშვნელოვან როლს საბჭოთა

არქიტექტურაც თამაშობდა. მისი მთავარი დევიზის „ფორმით ნაციონალური შინაარსით სოციალისტური“-ს კვალდაკვალ 20-30-იანი წლებში მრავალი ნაგებობა აშენდა, რომელთა შორისაც საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები ჭარბობს. თანამედროვე ნაციონალისტური არქიტექტურის მაგალითები ბუნებრივია, დედაქალაქის ცენტრშიც - რუსთაველის (ყოფილი გოლოვინის) პროსპექტზეც იყო თავმოყრილი. მათ შორის აღსანიშნავია მუზეუმის რეკონსტრუირებული ფასადი (არქ. ნ. სევეროვი), მთავრობის სახლი (არქ. ვ. კოკორინი), შ.რუსთაველის სახელობის კინოთეატრი (არქ. ნ. სევერეოვი), კონსტრუქტივიზმის სტილის გამომცემლობა „ზარია ვასტოკა“-ს შენობა (არქ. დ. ჩისლიევი), მარქს-ენგელს-ლენინი-ს ინსტიტუტისა (არქ. ა. შუსევი) და ე.წ შახტმშენის შენობა (არქ. მ. ჩხიკვაძე, კ. ჩხეიძე). ახალმა ნაგებობებმა გარკვეულწილად შეცვალა XIX ს-ის გოლოვინის პროსპექტის იერ-სახე. რამაც მრავალი მხატვრულ-არქიტექტურული თვალსაზრისით ღირებული შენობა „შეიწირა“. თუმცა იდეოლოგიური ცვლილება აუცილებელი შეიქმნა და მან გარკვეული როლი ითამაშა ქალაქის სამომავლო განვითარების თვალსაზრისითაც.



რუსთაველის გამზირის ისტორიის შემდეგი ეტაპი XX ს-ის II ნახევარს უკავშირდება, მათ შორის მნიშვნელოვანი დატვირთვა სასტუმრო „ივერია“-ს

მრავალსართულიან შენობაზე მოდის (არქ. ო. კალანდარიშვილი, ი. ცხომელიძე 1967წ). 20 სართულიანი ნაგებობა, ერთგვარი „მაორიენტირებლის“ ფუნქციას ითავსებს. ის კარგად აღიქმება როგორც სანაპიროს, ასევე რუსთაველის გამზირისა და მთაწმინდის პლატოს მხრიდან და ერთგვარ ვერტიკალურ მძლავრ მახვილს წარმოადგენს. სასტუმრო „ივერია“-ს შენობამ, ერთგვარად განსაზღვრა რესპუბლიკის მოედნის ამჟამინდელი სახეც.

საპროექტო შენობის იდენტიფიცირება საარქივო მასალის მიხედვით

შოთა რუსთაველის გამზ. №15-ში მდებარე შენობა, გამზირის ისტორიის თანადროულია და ფაქტიურად მისი ქრონოლოგიური განვითარების ყველა ეტაპს ასახავს. შენობის იდენტიფიცირება მარტივია, მიმდებარედ არსებული ძალზედ მნიშვნელოვანი განაშენიანების წყალობით.



1898 წლის საარქივო რუკაზე, სადაც ტერიტორია, მიწის მეტარონეების მიხედვით არის დაყოფილი, ვხედავთ, რომ ჩვენი საკვლევი ნაკვეთის მეპატრონე ვინმე მიხეილ სერგიევია. აღნიშნულ დოკუმენტში არ არის მითითებული ნაგებობის ფუქნცია. თუმცა კარგად ჩანს შენობის არაჩვეულებრივი განთავსება განაშენიანებაში, როემლიც ერთის მხრივ გოლოვინსკის, ხოლო უკანა ეზოთი, ტიპოგრაფიის ჩიხზე გადის. ჩიხი ფაქტიურად ეზოში იჭრება.

მე 19 საუკუნის მეორე ნახევრის ფოტო, რომელიც გამზირის განაშენიანებას აჩვენებს, ვხედავთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ადგილას ორსართულიანი მოკრძალებული პროპორციის შენობა მდგარა.



შენობის იდენტიციფირება მარტივია, თავისი მდებარეობის გამო. ქუჩათა კვეთაზე, ჩამოთლილფასადიანი ნაგებობა და მის მომიჯნავედ აგურის შენობის ადგილას, მოგვიანებით სასტუმრო მაჟესტიკი განთავსდა, ხოლო მის მიყოლებით მდებარე შენობა, დანამდვილებით ჩვენი საკვლევი ობიექტი უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ შენობა კარგად არ ჩანს, ფოტოზე დაკვირვებით იკითხება, ერკერები, შეწყვილებუკლი სარკმლები და მცირე ზომის გუმბათიც. თუმცა გამომიდნარე იქიდან, რომ არაფერი ვიცით შენობის ფუქნციის შესახებ, ძნელია რაიმეს მტკიცება. შესაძლებელია ის მეპატრონის საცხოვრებელი იყოს, მდიდრულ ყაიდაზე გაწყობილი.

თუმცა გამზირის განაშენიანების, და მასზე საკმაოდ მასშტაბური ნაგებობის გაჩენამ, ჩვენთვის საინტრესო ნაგებობის რეკონსტრუქციის აუცილებლობაც დააყენა. ამის მაგალითია საარქივო ფოტო, სადაც რუსთაველის თეატრი უკვე

დასრულებულია, ხოლო მის მომიჯნავედ არსებული ნაგებობა, ხარაჩოებშია ჩასმული. შესაბამისად ის რეკონსტრუქციის პროცესშია.



დღეის მდგომარეობით ძნელია იმის იდენტიფიცირება, თუ რა დონეზე მოხდა შენობის რეკონსტრუქცია. ძველი ნაგებობა მთლიანად დაშალეს, თუ დარჩა მისგან რაიმე ძველი. თუმცა ფაქტია, რომ ახალი შენობა ორგანულად ჩაეწერა იმდროინდელი და ამჟამინდელი გამზირის საერთო სტრუქტურაში და მისი საერთო ფასადის მნიშვნელოვანი აქცენტიც გახდა. აღნიშნული ფოტოს მიხედვით შენობის რეკონსტრუქციის სავარაუდო თარიღის დადგენაც არის შესაძლებელი, რადგან რუსთაველის თეატრის გვერდით არსებული შენობა, ჯერ კიდევ მე 3 სართულის გარეშეა, რომლის რეკონსტრუქციაც 1908 წელს მოხდა. შესაბამისად ჩვენი შენობაც სწორედ 1902-1907 წლების შუალედს უნდა განეკუთვნებოდეს.



შენობის ფუნქცია

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავრაპირველი შენობის ფუქნციის დადგენა რთულდება, ამ შემთხვევაში ჩვენთვის მხოლოდ მეტარონის გვარია ცნობილი, თუმცა რაიმე სახის დამატებით ინფორმაციას მის შესახებ ვერ მივაკვლიეთ. არაფერი ვიცით თუ რა ფუნქციით იყენებდა მეპატრონე შენობას, თუმცა იმ პერიოდის საარქივო ფოტოებითაც ცხადი ხდება, რომ მისი პირველი სართული აუცილებლად კომერციუოლი დანიშნულებისა იქნებოდა.

შენობის შემდეგი მეპატრონე მუხრანელია. ამის შესახებ პერიოდულ გამოცემებიდან ვიგებთ, სადაც მითითებულია რომ გოლოვისკის ქუჩაზე მუხრანსკის სახლის პირველ სართულზე გერმან გეგელეს მაღაზია ფუქნციონირებდა.

გერმან გეგელი იმ პერიოდის ერთ-ერთი სერიოზული მაღაზიის მეპატრონეა, რომელიც იარაღით ვაჭრობდა. მის მაღაზიაში შესაძლებელი იყო სხვადასხვა სახეობის იარაღის შეძენა, როგორც სანადირო, ასევე ვინტოვკა და სხვა სისტემისა. სარეკლამო განცხადებაში ასევე მითითებულია, რომ მაღაზისათან ფუქნციონირებდა იარაღების სახელოსნოც. ანუ ცხადი, ხდება რომ პირველ სართულს მხოლოდ სავაჭრო ფუქნცია არ ჰქონდა. თუმცა შესაძლებელია რომ სახელოსნო მეორე სართულზეც ფუნქციონირებდა.


ОБЪЯВЛЕНІЯ.

ОРУЖЕЙНЫЙ МАГАЗИНЪ
Германа Гегеле

Голобинскій пр., д. № 19, рядомъ съ Артистическимъ О-вомъ.

Большой выборъ всякаго рода охотничьихъ ружей:

фабрикъ—ЗАУЕРА въ Зулѣ, КЕСЛЕРА—въ Зулѣ,
ЛЬЕЖСКОЙ МАНУФАКТУРЫ: ЛЕБО и др.

Винтовки: МАУЗЕРА, МОНЛИХЕРЪ-ШЕНАУРЪ и др. системъ.

РЕВОЛЬВЕРЫ

всевозможныхъ и наилучшихъ системъ и фабрикъ.

При магазинѣ имѣется спеціальная оружейная мастерская, въ которой производится всякаго рода передѣлка и исправленіе оружія подъ личнымъ моимъ наблюденіемъ.

На пріобрѣтеніе нарѣзныхъ ружей, револьверовъ и патроновъ къ нимъ необходимо представить удостовѣреніе Губернатора; на пріобрѣтеніе-же охотничьихъ гладкоствольныхъ ружей и монтекристо удостовѣренія не требуется.



თუმცა საარქივო ფოტოზე ასევე კარგად ჩანს, რომ მხოლოდ გეგელის მაღაზია არ იყო შენობის პირველ სართულზე. თითოეულ ღიობზე სხვადასხვა რეკლამები ჩანს, თუმცა სამწუხაროდ მათი გარჩევა ვერ ხერხდება.

საბჭოთა პერიოდში, რუსთაველის 15-ში განთავსებული იყო კალინინის რაიონის ცენტრალური შემნახველი სალარო. აქ იყო აგრეთვე, ცენტრალური სახელმწიფო არქივის სახალხო მეურნეობის მასალათა განყოფილება. ასვე ცნობილია, რომ გარკვეულ პერიოდში მე 3 სართული სასტუმროს ეკავა.

შენობის აღწერა და ჩარევის ქრონოლოგია

შენობის მთავარი ფასადის მხატვრულ დამუშავებაში რენესანსის, ბაროკოსა და ამპირის სტილისთვის დამახასიათებელი ელემენტებია გამოყენებული. მის პომპეზურ სახეს განაპირობებს სამი რიზალიტით აქცენტირებული, სიმეტრიული კომპოზიცია. რიზალიტებს შორის, კედლის სიბრტყე მეორე და მესამე სართულებზე ორ-ორი, სწორკუთხა ფანჯრით ნაწევრდება. თვით რიზალიტებში ქვის აივნებია. ამასთან, მესამე სართულის აივნებისთვის საყრდენად ქცეულა, მეორე სართულის აივანთა მოაჯირებიდან აყოლებული, მონაცრისფრო მარმარილოს იონიური კაპიტელების მქონე, მრგვალი სვეტები. თავად ეს აივანი პირველი სართულის ღიობთა თავზე გამავალი ფრიზიდან ამოზრდილ მძლავრ კრონშტეინებს ეფუძნება. შუა, შედარებით განიერ რიზალიტში აივნები გეგმაში მომრგვალებული ფორმისაა, განაპირა ნაწილებში კი სწორკუთხაა. აივნის კედლებზე სვეტების ერთგვარი პროექცია ხდება მარმარილოსავე სწორკუთხა პილასტრების სახით. ფასადის პირველი სართული სახეშეცვლილია. თავდაპირველად რიზალიტებში თაღოვანი ღიობები ყოფილა გაჭრილი, მათ შორის კი - დიდი ზომის სწორკუთხა ვიტრინები. ამჟამად, ცენტრალური ღიობი სწორკუთხაა. შეცვლილია ყველა კარი და ვიტრინა. მათი ხის ალათებიანი კარების წინ ლითონის ჭვირული ცხაურია აკრული. შენობის მთავარი ფასადის შესახებ საინტერესო ინფორმაციას იძლევა საარქივო ფოტოები, საიდანაც ჩანს, რომ შენობის კარები პირველ სართულზე და ცხაურები დამზადებულია თავდაპირველის ანალოგიით, ავთენტური უნდა იყოს ორი განაპირა კარის ფრამუგების ნაწილები. შეცვლილია პირველი სართულის მოპირკეთება, მისი დიდი ნაწილისთვის გამოყენებულია აქტიური ჟღერადობის, მწვანე ფერის მარმარილოს ფილები. ფასადების თავდაპირველი მოპირკეთება პირველ სართულზე შემორჩენილია მხოლოდ განაპირა რიზალიტებში, ღიობების გარშემო. ფასადზე ყველა ღიობი დამუშავებულია პროფილირებული საპირით, საჭექი ქვების ადგილზე მცენარეულ მოტივებზე აგებული ჰორელიეფია. მეორე სართულის მოაჯირებში ქვის განიერი, გეომეტრიზირებული ფორმის რიკულებია ჩასმული, მესამე სართულის აივნებს ასევე, ქვის გამჭოლი, მხოლოდ ორნამენტული ნატეხის მქონე მოაჯირები აქვს. მცირე ზომის იონიკების რიგი გასდევს მესამე სართულის

აივნების ძირს. მესამე სართულის თითოეული ღიობის ზემოთ, მათ სიგანეზე, მცენარეული ორნამენტებით შემკული რელიეფებია, ცენტრში მარმარილოს კოპებით. ფასადს ასრულებს იონიკების რიგი, მსხვილად წინ წამოწეული პროფილირებული კარნიზი და რიზალიტების შესაბამისი, სამი, შემაღლებული, ვოლუტებიანი მრუდხაზოვანი ორნამენტული ნაწილით დაგვირგვინებული პარაპეტი, თითოეულ მათგანზე მცირე ზომის ქვის ამპირული კვერთხით. ამათგან, ცენტრალური უფრო განიერია და მისი რელიეფიც უფრო მდიდრული - გირლიანდით შემკული მსხვილი წნული.



1990-იანი წლების დასაწყისში, დედაქალაქში მიმდინარე პოლიტიკური კატაკლიზმების დროს, შენობა დაიწვა. მისი რეაბილიტაცია განხორციელდა ფასადების რესტავრაციისა და შიდა სივრცის თითქმის, მთლიანად ხელახლა აგების მიმართულებით. ამასთან, მოხდა მანსარდის სართულის დამატება, რომლის ფორმაც ჩვენგან მარცხნივ განთავსებული რუსთაველის თეატრის მანსარდს მიესადაგა.



მთლიანობაში, საფასადე გაფორმება ერთგვარი სისადავით და სიმკაცრით ხასიათდება. შენობის უკანა ფასადი, რომელიც სტამბის ჩიხის მხარეს გადის, დიდწილად არის შეცლილი. რელიეფიდან გამომდინარე, ნაგებობის ამ მხარეს სრულად გამოდის სარდაფის ორი დონე. ამას ემატება დაშენებული სართული, რომელიც მომრგვალებულია და შედეგად, ვიღებთ შვიდსართულიან ფასადს, მარცხენა, თეატრის მომიჯნავე ნაწილში, კიდევ უფრო შემაღლებული, კიბის უჯრედის წინ გამოწეული მოცულობით. ფასადის პირველი, მეორე და მესამე სართულები - ძველის სტილიზაციაა -შებრტყელებულთაღოვანი ფორმის ფანჯრები სადა საპირეებით არის გარშემორტყმული, დანარჩენი სიბრტყე კი პირველ-მეორე სართულებზე შელესილობით არის რესტავრირებული, მაღალ სართულზე კედლის სიბრტყე თეთრად არის შელესილ-შეღებილი. მეოთხე, მეხუთე, მეექვსე სართულების მარცხენა ნაწილს თანამედროვე აივნები აქვს. მთლიანად თანამედროვე სახეს ატარებს მინაშენი ეზოში. იგი პირველი სართულის სიმაღლეზეა მიდგმული შენობის მთელ სიგანეზე და ცენტრში მსუბუქი კონსტრუქციის კამაროვანი გადახურვა აქვს. ეს მინაშენი სრულიად შეუფერებელია შენობისათვის. შენობა აგებულია აგურით. ავთენტურია მისი

სარდაფები, მთავარი ფასადის ძირითადი ნაწილი და უკანა ფასადის ნაწილი. ინტერიერში გამოცვლილია სართულებშუა გადახურვები, ახალი ხვეული კიბე ლითონის მოაჯირით. გეგმარება შესაძლოა ძველის ანალოგიურია, ისევე როგორც გეომეტრიული ნახატის მქონე შელესილობა კედლებსა და სხვადასხვა სართულების ჭერზე. გვიანდელია მარმარილოთი მოპირკეთებული ყველა იატაკი შენობის შიდა სივრცეში და მარმარილოს საფეხურებიანი ლითონის მოაჯირიანი ხვეული კიბე.

თუმცა საარქივო მასალის მიხედვით, შენობის უკანა ეზოს ფასადი, თავდაპირველად, თბილისური შენობების შიდა ეზოების მსგავსად, ძალზედ მრავალფეროვან სურათს ქმნიდა, რომელიც სართულებზე ჭვირულ-მოხარატებული აივნებით იხსნებოდა. სამხუხაროდ რეკონსტრუქციამ სრულიად სეცვალა არამხოლოდ ეზოს ფასდი, არამედ სტრუქტურაც. მარჯვენა შვერილი ფ;ლიგელი სრულიად გამქრალია, მისგან მხოლოდ ერთი კედელია დარჩენილი.





ცალკე უნდა აღინიშნოს, შენობის ფასდზე, პირველ სართულზე განთავსებული ლითონის ცხაურები. ისტორიულ საარქივო ფოტოებზე, ნათლად ჩანს პირველი სართულის ვიტრინების დეკორატიული ცხაურები, რომელიც ერთი და იგივე პერიოდის ფოტოებზე ხან ჩანს და ხანაც არა. საქმე იმაშია, რომ დეკორატიული ცხაურები შენობის პირველ სართულს დანამდვილებით ჰქონია, თუმცა ის მხოლოდ იმ დროს როდესაც პირველ სართულზე არსებული მაღაზია არ ფუქნციონირებდა, მაშინ ჩნდებოდა. კონსტრუქცია ისე იყო მოწყობილი რომ ცხაურები, მიწის ქვეშ, პირველი სართულიდან სარდაფში ცურდებოდა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, კვლავაც ჩნდებოდა.

1930-იანი წლების ფოტოზე, ნათლად ჩანს რომ შენობაზე ცხაურები მოხსნილია. 1990-იანი წლების რეკონსტრუქციის დროს კი სარდაფის სართულზე, მიწის ქვეშ მხოლოდ ერთი ცხაურიღა დარჩენილა, რომლის რესტავრაციაც გააკეთეს და მისი ანალოგით ახალი ცხაურები დაამზადეს. აღნიშნული დასტურდება არქიტექტორ რესტავრატორის ს. ბანძელაძის მიერ, რომელიც შენობის რესტავრაციაზე მუშაობდა აღნიშნულ პერიოდში.







დასკვნა და რეკომენდაციები

ამდენად, როგორც ჩანს, შენობა რუსთაველის გამზირის, უბნისა თუ ზოგადად თბილისის არქიტექტურის ერთ-ერთი გამორჩეული ნიმუშია, რომელიც მიუხედავად ძლიერი გადაკეთებისა, დიდ როლს თამაშობს გამზირის საერთო მხატვრულ სახეში. ამავდროულად სწორედ ზემოთაღნიშნული მახასიათებლების გამო, მას კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი აქვს მინიჭებული, რაც დაცვის განსაზღვრულ მექანიზმს გულისხმობს.

წარმოდგენილი პროექტის მიხედით, შენობის პირველ სართულზე მაღაზიის განთავსება იგეგმება, რაც დღეის მდგომარეობით სრულიად უფუქციო შენობისთვის შესაძლებელია. როგორც კვლევამ აჩვენა, 1990-იანი წლების დაზიანებული ნაგებობის ინტერიერი და უკანა ეზოს ფასადი სრულიად სახეცვლილია, შესაბამისად ნაგებობის ადაპტაცია შიდა დიზაინის მოწყობა მარტივდება. ვფიქრობთ გასათვალისწინებელია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- შენობის ინტერიერი, შესაძლებელია შესაბამისი დიზაინის საფუძველზე სურვილისამებრ მოეწყოს, შესაძლებელია გვიანი ჩანართების, პანელების

მოხსნა, თუმცა ერთმნიშვნელოვნად შენარჩუნებულ უნდა იქნას კონსტრუქციული საყრდენი კედლები;

- გამომდინარე იქიდან, რომ რეკონსტრუქციისას სრულიად შეიცვალა სართულშუა გადახურვა და შესაბამისად აუთენტური იატაკიც, ინტერიერის დიზაინიდან გამომდინარე შესაძლებელის ის ხის იატაკით ან პარკეტით ჩანაცვლდეს;
- შენარჩუნებულ იქნას შენობის 2000-იანი წლების რეკონსტრუქციის დროს მოწყობილი კიბის უჯრედი, ლითონის ნაძერწი მოაჯირებით;
- შენობის პირველ სართულზე, სასურველია მოიხსნას გვიანდელი ვიტრინის ორმაგი ლითონის ღიობები;
- იცვლელად იქნას შენარჩუნებული შენობის რესტავრაციის დროს აღდგენილი ხის ვიტრინების ალათები;
- რაც შეეხება ფასადზე განთავსებულ ლითონის ცხაურებს, რომელიც როგორც კვლევის შედეგად დადგინდა გვიანდელი რეკონსტრუქციის ინტერპრეტაციაა, რათქმაუნდა სასურველია მოხდეს აუთენტური ელემენტის – სარდაფის სართულში მისი ჩამონტაჟება. თუმცა სამწუხაროდ ტექნიკურად აღნიშნული ვერ მოხერხდება, რადგან რეკონსტრუქციის დროს მოხდა სარდაფის სართულში ჩასასვლელი ღიობის ამოქოლვა. შესაბამისად ის ღრიჭო რომლშიც ხდებოდა ცხაურის ჩასვლა აღარ არსებობს და აღნიშნული სივრცე სარდაფთან კაპიტალურად არის ჩაბეტონებული.

  გამომდინარე იქიდან, რომ სივრცეში მაღაზიის განთავსებისას საჭიროა ერთიანი გახსნილი სივრცეები, ვფიქრობთ შესაძლებელია ცხაურების იმგვარი დამონტაჟება ან დროებითი ადგილმონაცვლეობა, რომელიც ხელს არ შეუშლის ერთიან გახსნილი სივრცის შექმნასა და ვიტრინების აღქმას.

ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია